# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-258

04/04/2022 ქ. თბილისი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯაპანაში შპს „ვოთერ მენეჯმენთის“ თევზსაშენი ტბორის (რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ$^3$ -ზე მეტია) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯაპანაში შპს „ვოთერ მენეჯმენთის“ თევზსაშენი ტბორის (რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ3 -ზე მეტია) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N14 (29.03.2022);
2. შპს „ვოთერ მენეჯმენთმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N14 (29.03.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ვოთერ მენეჯმენთს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს შპს „ვოთერ მენეჯმენთის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი